საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 1 23 0000214590

23/02/2023

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ დმანისის
საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს
მაია ხმალაძეს

ქალბატონო მაია,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განსახილველად შემოსულ თქვენს N187417 16/02/2023წ. კორესპონდენციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის პოზიციის გათვალისწინებით, სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას, დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ (2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) გადაეცეს, სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ამამლოს საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ შენობაში (ს/კ N82.15.45.012) 38 კვ.მ. ფართი თავისი სველი წერტილით, სასკოლო მზაობის ჯგუფის ფუნქციონირების მიზნით - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის N791 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ შესაბამისად და იმ პირობით, რომ სამინისტროს მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) კვირის ვადაში მოხდება სარგებლობის უფლების მოშლა და ამავე ვადაში მოსარგებლის მიერ დაკავებული ფართის დაცლა, ასევე, თუ აღნიშნულით ხელი არ შეეშლება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა სრულად შესრულებას და უზრუნველყოფენ მათ მიერ გამოყენებული კომუნალური ხარჯების გადახდას.

ამასთან, საჯარო სკოლამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის N791 დადგენილების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ინფორმაციის წარდგენა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში.

პატივისცემით,

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ტაბატაძე მარიამ